

# სასოფლო გაზეთი


გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ: |
| ერთი წლისა — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა — 1 მ. | — 1 მ. — |

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელისმოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში.
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-

№ 6 შაბათი — V — 30 მარტს, 1872 წ.



შინაარსი

საუბარი წყალზე,—ადვოკატები სიდნაში,—სასამართლო ცნობები დასაჩუქ-რება მცოდნე კაცისა მამულის დაფასებისთვის,—რა არის სიმშილი. და—რას უზამს კაცს შიმშილი,—რა არის საჭირო იცოდეს კაცმა, როდესაც ესახლება მეორე სოფელში,—წვრილი ანბები,—წერილი იმ სასოფლო შკოლების მასწავლებლებთან, რომელთაც მინაური სწავლა მიუღიათ და არ იციან ესლანდელი სწავლების მეთოდები.—


## საუბარი წყალზე.

(დასასრული).

მშვენიერი და სასიამოვნო სანახავია ხანდის-ხან ცხელი ქვეყნების ზღვები ღამით. ხანდის-ხან მოხდება ხოლმე, რომ ზღვის ზედა პირ-ზე გამოჩნდებიან ნაპერწკლები ცეცხლისავით. სახლში (ბუხარში) რომ დავანთებთ ხოლმე კარგა ღონიერ ცეცხლს ღამით, კარზე გამოვა კაცი და ნახავს რომ ბუხრის ლულიდგან ამოდის ნაპერწკალი ცეცხლისა, ავა ზევით ჰაერში და სინამ ძალა აქვს ანათებს. ეს პა-ტარა, ეს თითო ოროლა ბუხრიდგან ამოსუ-ლი ნაპერწკალი თვალისთვინ სასიამოვნო, რაღაცნაირათ მოქმედობს კაცზე. ახლა წარ-მოიდგინეთ რა მოქმედება ექნება იმ ნაპერ-წკლებს, რომლებითაც მთელი ზღვის ზემო პირი მოკირწყლულია. ეს ნაპერწკლები ადი-ან და ჩამოდიან: ხან ეს ცეცხლები-ნაპერწ-კლები ერთად შეერთდებიან, ხან განშორდე-ბიან ერთმანეთს, მერე ისევ დაახლოვდებიან და ბოლოს სულ ერთად შეიკრიბებიან, შეერთ-დებიან და უშველებელ ალუგს აკეთებენ, რო-მელსაც მოლურჯოთ, მოყვითანოთ და უთა-ნასწოროთ ანათებენ. უფრო კარგი და სასია-მოვნო სანახავია ეს შეერთებული ნაპერწკ-ლებით განათლებული ზღვა მაშინ, როდე-საც ის დაიწყობს ღელვას: ღელვის დროს, რასაკვირველია ზვირთები დაიწყებენ ქანაო-ბას, და გორვას; ეს ზვირთები განათლებულია ნაპერწკლებით და ელავს, როგორც ალმასი. ზვირთი ადის და დადის, დუღს და მიეხლება კლდეს ან სხვას რასმეს და თეთრ ქაფათ შე-იცვლება, რომელსაც ნაპერწკლები თავს არ ანებებენ და თავის შუქით ამშვენიერებენ. თევზი რომ გაცურდება, დაიწყებს ყირაობას, ეგონება კაცს ალისფერი სამოსელი აცვია. ახირებულად მშვენიერი სანახავია ეს განათ-ლებული ზღვა იმ ალაგზე, სადაც გემი სჭრის ზღვას და ძალიან ძრიელ ზვირთებს აკეთებს. მეცნიერები ამბობენ რომ ვითომ ეს ზღვის განათლება ხდებოდეს იმისაგან, რომ ზღვის ზედა პირზე ცურამენ ხოლმე კარგა ბლომად მანათობელი ცხოველები, მაგალითებრ ციცი-ნათელა და სხვა ჟიის მსგავსი ცხოველები და იქნება ამათზედ დიდებიც, მაგალითებრ, თევზე-ბი, რომლებსაც იქნება მოელვარე ქერქი აქვსთ, მაგრამ ამ აზრში, რომ ვითომ ზღვას მოელვარე ცხოველები ანათებენ, ჯერ მტკი-ცედ დარწმუნებულები არ არიან, ჯერ კი-დევ ე' კითხვა თხოულობს საფუძვლიან გა-მოკვლევას და დამტკიცებას.

სწორეთ მართლა დაარქვეს ოკეანს, დიდი ზღვა—ის არის მამა წყლებისა. შენ[illegible] ფერი რომ ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდ[ა] რომ ის ოკეანე არ ყოფილიყო, ოკეანე ა[ძ]ლევს საზდოს ბევრ მდინარეებს, ტბებს დ[ა] წყაროებს რომლებიც არიან მიწის ზურგზე. ჩემი სოფლელი მკითხველი გაკვირდება და გაკვირვებითვე იტყვის. «როგორ საზდოს აძ-ლევს? აი ახალი ანბავი? შიან, შე დალო-ცვილის შვილო, სწყურიან, თუ ტანთ-საცმე-ლი აკლია? წყალს რა საზდო უნდა?» მოი-თმინე ჩემო გულ-ანჩხლო მკითხველო. ჩვენ რომ ვამბობთ «საზდოს აძლევს» ამ სიტყვე-ბით გვსურს გამოვხატოთ ეს აზრი: ოკეანი რომ არ იყვეს ზოგიერთი მდინარეების ყო-ფნა საეჭვო იქნებოდა, რომ ოკეანე აკეთებს მდინარებს, თუმცა ყველა მდინარეებს, ტბეებს და წყაროებს არა, მაგრამ ბევრს მათგანს. მდინარები კეთდებიან აი როგორ: წყალი ოკეანებში და ზღვებში დიდი სიცხისგამო ორთქლდება; ეს ორთქლები ძალიან ზევით მი-წევენ და რადგანაც მსუბუქები არიან ჰაერ-ზე ადგვილათ ადიან მაღლა. მიდიან და მი-დიან ეს ზღვიდგან ამოსული ორთქლები იქნამდისინ, ვინემ არ დახვდებათ, ანუ ვინემ


ქ. მარქსის სა. ს. ქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

არ მივლენ იმ ადგილამდის, სადაც ჰაერი ძალიან შეკუმშული და გაცივებულია. აქ ისინი ამ ცივ ჰაერს ველარ დაძალამენ, მაგრამ თუ ძრიელი ორთქლები უფრო ცივ ალაგას მივლენ, იქ ჩერდებიან, ცივდებიან, იკუმშებიან და აკეთებენ ღრუბლებს; როდესაც ორთქლები უფრო ძალიან გაცივებულ ჰაერში რამდინ აელენ, მაშინ კიდევ უფრო მომეტებულად სქელდებიან; აქნამდისინ ჰაერზე მჩატე და მსუბუქი იყვნენ, მაგრამ ახლაკი ჰაერზე ბევრით მძიმე ხდება; ჰაერი ამისგამო ველარ იმაგრებს და მიწაზე ჩამოდის წყალი წვეთ-წვეთად. ხან ეს წვეთები ქიქმატია, ხან კი ძალიან შხაპუნა. ამას ვეძახით წვიმას. ძალიან გაცივებული ორთქლისაგან ჩამოდის თოვლი და სეტყვა. წვიმის წყალი გუბდება დედა-მიწაზე და გადის შიგ თუ რბილი და ფხვიერი ალაგი შეხვდება. მიდის მიწაში იქნამდისინ, მინამ არ დახვდება თიხიანი ან ქვიანი ალაგი, რომლებიც არ უშვებენ ქვეით წყალს. აქედგან წყალი რის ვაი-ვაგლახით გადის იმისთანა ალაგას, სადაც ნახავს თავისუფალს გამოსასვლელს დედა-მიწის პირზე. როდესაც წყალი განთავისუფლდება და ამოვა მიწის ზედა პირზე, მაშინ კეთდებიან წყაროები. როდესაც წყალი წყაროებისა იკრიბება სადმე ჩავარდნილ ალაგას, მაშინ კეთდება პატარა რუვები და პატარა მდინარეები. თუ რამდენიმე პატარა მდინარეები, რუვები ერთად შეიკრიბებიან, ერთად შეერთდებიან როგორმე, მაშინ კეთდება დიდი მდინარე, რომელიც ჩადის ზღვაში, ტბაში, ან არა და სხვა, უფრო დიდ მდინარეში. ხანდისხან იღებენ სათაურს დიდ და მაღალ მთებში, რომლებიც დაფენილია თოვლით. თოვლი ნელ-ნელა დრო გამოშვებით დნება ამ მაღალ მთებზე, დაეშვება ეს დამდნარი თოვლი ძირს და აკეთებს პატარა მდინარეს ჯერ-ჯერობით; რამდენიც ძირს ჩამოვა წყალი მთაზე, იმდენად უფრო ჩქარი იქნება მისი მომდინარეობა და როდესაც კარგა ბლომად დადნება და სუილით წამოვა ნიაღვრები მთაზე, მაშინ ის პატარა მდინარე გადაიქცევა ძალიან დიდ, ჩქარა მორბენალ და მთის მდინარედ. მაგ. ამნაირი ჩქარი მდინარეები ბევრი არიან საქართველოში, რომლებიც მთებიდგან იღებენ სათაურს და ჩქარი მდინარეები არიან.

როგორც მდინარეებში, ისე კიდე ტბებშიაც, რომლებიც აგრეთვე კეთდებიან წვიმის წყლებიდგან დედა-მიწის ზურგზე, წყალი არის კარგი, ესეიგი, აქვს ბუნებითი, ჩვეულებრივი გემო შეურყეველად, თუმცა მდინარეების და ტბების წყლები კეთდებიან მწარე და მლაშე ზღვის წყლიდგან. თუ მართლა მწარე და მლაშე ზღვის წყლისაგან კეთდებიან მდინარეები და ტბები დედა-მიწაზე, მაშ რაღათა აქვსთ კარგი, ჩვეულებრივი გემო? ჩვენ იმათ სიმწარეს ვერ ვატყობთ. რისგან არის ესა? ეს კარგი გემოვნება წყლისა, თუმცა ეს წყალი კეთდება ზღვის წყლიდგან, რომელიც დასალევათ არ ვარგა, აიხსნება, აი როგორ: როდესაც მზის ცხარი სხივები პირ და პირ დაადგებიან ზღვას, ზღვის წყალი ცხელდება, ამის გამო ის ორთქლდება, ეს ორთქლები მაღლა მიდიან, რომლებიც არიან სუფთები, ესეიგი, ამათში მარილის ნაწილები არ ურევია. რაც წმინდა და სასმელად გამოსადეგი წყალია ის ორთქლდება და მარილი ზღვაშივე რჩება. ერთი ცუდი ნაწილი არ გაზდევს ამ ორთქლებს, ამისგამო ორთქლები სუფთად რჩებიან. მაშასადამე ღრუბლებში არის მხოლოდ წმინდა, სასმელად გამოსადეგი წყალი, ამის გამო რომ ღრუბლებში ასე კარგი წყალია მდინარეებშიაც და ტბებშიაც ჩვეულეარივი, გემო-წმინდა წყალია. მაგრამ არიან იმისთანა ტბებიც, რომლებშიაც მლაშე წყალია და დასალევათ არ ვარგა. ამისთანა ტბა არის რუსეთში, რომელსაც ეძახიან ელტონს, მაგრამ ამისთანა მლაშე ტბები ძალიან ნაკლებათ არის ქვეყანაზე.

დედა-მიწაზე ბევრი დიდი, უზარ-მაზარი მდინარეებია. ვისაც, ვსთქვათ, ზღვა არ უნახავს, იმან, რომ როგორმე მოხდეს და ზოგიერთა დიდი მდინარეები ნახოს ეგონება ზღვას ვხედამო. რუსეთშია ერთი ყველაზე შესანიშნავი დიდი მდინარე; ამ მდინარის სახელი არის ვოლგა. ამას აქვს სამიათასხუთასორმოცდაათი ვერსი სიგძე. ყველა მდინარეებზე, რაც კი არის მთელ ქვეყანაზე, დიდი არის ამაზონის მდინარე ამერიკაში. ამ მდინარეს, როგორც გვაცნობებენ, აქვს ექვსიათასზე ცოტა ნაკლები ვერსი სიგძით. ისე დიდია ამ მდინარის სიგძე, რომ იანვარში მდინარის სათაურზე დაიწყობა ხოლმე გადიდება მდინარისა და თებერვალში ძლივ-ძლივობისას მოხწევს ხოლმე მდინარის შუა ადგილამდის და სულ ბოლოს მარტის გასულს, ხან აპრილის პირველ რიცხვებში მოვარდება წყალი. თავიდამ ბოლომდინ გასვლას მოვარდნილი წყალი ამდობებს სამთვენახევრამდინ. სიგძე ამოტენა აქვს. ახლა ვნახოთ სიგანე რაღა უნდა ჰქონდეს: სიგანე ამ ამაზონის მდინარისა გასაოცარია; შუაგულ ალაგას სიგანე ამისი არის თითქმის ოთხმოცი ვერსი; სიგანე იმ ადგილისა, საცა ის ზღვაში ჩაერთვის უფრო გასაოცარია: აქ ამის სიგანე ზოგიერთა ზღვების სიგანეს უთანასწორდება. მაგალითებრ: ბალტიის ზღვის სიგანე, რომელიც რუსეთშია და ამ წყლის ჩასართავის სიგანე ერთია. ორთავეს აქვსთ სამასივერსი. სიღრმე ამ ამაზონის მდინარის არ არის ხოლმე ორ საჟენ ნახვარზე ნაკლები, მაგრამ ზოგზოდ ადგილას სიღრმე ამ მდინარისა ოცდაოთხ საჟენამდინ ადის. ზოგ-ზოგ მხარეებში სწორეთ ზღვას წამოუდგენს კაცს ეს მდინარე. ფრინველებს არ შეუძლიანთ, რომ დაუსვენებლივ გადაფრინდნენ ამ საშინელ მდინარეზე. როგორც ზღვაში მოხდება ხოლმე ღელვა, ზვირთების გოროობა, ისე კიდევ ამ მდინარეშია. ატყდება საშინელი ღელვა და მოდიან-მოდიან გაჩქარებით ზვირთები. ყველამ კარგად იცის, რომ მერცხალმა ძალიან ჩქარი ფრენა იცის; გვეკრობა ხოლმე დედა-მიწას საჭმლის საშოვრად და ისეთის სისწრაფით მიფრინავს, რომ რაღა მოგახსენოთ. ასე გაშინჯეთ ეს ფრინველიც კი ვერას გახდება ხოლმე აქა. საწყალი მერცხალი მოტყუებული მდინარის სიდიდისაგან, გამოქანდება, დაფრინავს-დაფრინავს, ვერ პოულობს ნაპირს

რის ვაი-ვაგლახით დაბრუნდება უკან და უშველის თავს, მაგრამ თუ შორს წავიდა ნაპირიდგან, მაშინ კი დალალულობის გამო წყალში ჩავარდება და თავს განსვენებას მისცემს. პირველი ღირსება ამ ამაზონის მდინარის მდგომარეობს იმაში, რომ თითქმის ყველგან იმის დიდ ტოტებზე კარგად შეუძლიანთ გემებს სიარული.

---

## ადვოკატები სიღნაღში

დროებიდგან № 11

სწორეთ არის ნათქომი «მელას რაც ეზმანებოდა, ის ესიზრმებოდაო.» მართლაც კაცს აგონდება მარტოკა ის, რასაც მასზე უფრო მომატებული შთაბეჭდილობა ჰქონდა. აი ეხლა ვთქვათ მე, მე ვფიქრობ სიღნაღზე და თვალწინ კი უეზდის სასწავლებელი და მომრიგებელი სასამართლო მიდგანან. ეს წარმოსდგება იქიდგან, რომ სიღნაღში მთელს ჩემ სიცოცხლეში მარტოკა იმათ ჰქონიათ ჩემზე ყველაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილობა. უეზდის სასწავლებელი მაგონდება მიტომ, რომ იქ პატარაობაში ძალიან ბეჯითათ მროზგავდნენ ხოლმე: არ გაივლიდა კვირა, რომ განსვენებულს სმოტრიტელს ერთხელ მაინც არ ეგრძნობინებინა ჩემი სხეულისათვის, რომ ტყეში შვინდის წკეპლები ჯერ ბლომათ არის. მომრიგებელი სასამართლო კიდევ მიდგა თვალწინ მისთვის, რომ მართლა «აწმყო» სიღნაღისა მარტოკა იმასში მდგომარეობს.

ეხლანდელ დროში სიღნაღი და მომრიგებელი სავამართლო ერთი და იგივე გახლავან. თუ გენებებათ სიტნატზე ლაპარაკი, — უთუოთ სასამართლოზედაც უნდა ილაპარაკოთ იმისათვის, რომ სიღნაღი შესდგება: მომრიგებელი სასამართლოსაგან, თავის ბრწყინვალე სვიტითურთ: მომჩივრებიდამ, პასუხის მგებლებიდამ და ადვოკატებიდამ. პირველის შეხედვით ჰფიქრობ: ეს ქალაქი კი ერთი წუწკნაა, მცხოვრები ცოტანი არიან, და ნეტავ იცოდე ამოდენას რასა სჩივიან? იშვიათი დღე იქნება, რომ ერთი ათიოდ საქმე არ იყოს გასარჩევი. ერთი სიტყვით, სიღნაღელების სიცოცხლ[ე] ცხოვრება სულ დავაში მდგომარეობს.

რასაკვირველია, ყოველი საქმე მოითხოვ[ს] თავის შემუშავებლებს, იმისთანა პირებს, რო[მ]... მელთაც შეეძლოთ და კიდეც გააკეთონ ე[ს] საქმე. ბევრჯელ მოხდება ხოლმე, რომ შე[მ]ძლებელნი საქმის რიგიანათ გაკეთებისა ჯ[ე]რეთ არ იპოვებიან და იმათ ადგილს იჭერე[ნ] უცოდინარნი და შეუძლებელნი. ხშირათ, თ[ურმე] კაცს უნდა ვისმეზე რამდენიმე გავლენა ჰქონ[]დეს, თავისი თავი არ უნდა გამოაჩინოს ძა[]ლიან დაწინაურებულათ იმ პირზე; ამისთვი[ს] ხანდისხან იმ ზემო-ხსენებულს პირებს უფრო დიდი გავლენა აქვ'სთ ხალხზე, სინამ საქმი[ს] საფუძვლიანათ მცოდნეებს.... ამოდენა დავებ[ს] სიღნაღში იყო იმის მიზეზი, რომ ის აივსო ადვოკატებით. აგერ მოდის მაღალ შლაპიანი წვერ მრგვლათ შეკრეჭილი ყმაწვილი კაცი ეგ გახლავთ ადვოკატი, გამოგდებული მეო[თხე]რეს კლასიდამ რომელსამე უეზდის სასწავლებ[ე]ლისა. აგერ მოდის შუბლ ნიკორა ჩინოვნიკი წალის ქუსლები უკან წასვლია. ეგეც ადვოკატი გახლავთ, [illegible] სამსახურიდამ კეთილ ზნეობისთვის. აგერ მოდის კიდევ ნიკორა, მაგრამ უწვერო, უპალტოვო, ათ ალაგას სერთუკ ჩამოგლეჯილი. ეგეც ისეთი ადვოკატია, რომელიც დუქნის დაზგაზე ცალი ხელით არზას სწერს და მეორეთი კიდევ არაყს სვამს. აგერ მოდის ჩოხა სომეხი: ეგ გახლავთ მიკიტანი, ან ბაყალი, ან მეწვრიმალე, რომელსაც დაუნებებია თავი თავისი საქმისთვის და მოდის სასამართლოში საადვოკატოთ. თუმცა ამან არც რუსულათ, და ხან ქართულათაც, წერა-კითხვა სრულებით არ იცის, თუმცა რუსული ლაპარაკისა ინჩიც არ ეყურება, მაგრამ შენი და ჩემისთანა ნინია გოგიას, ჩამოგლეჯილის საკინძით კარზედ მოდგომილს, მაინც მოატყუებს. ამისთანა ადვოკატებს თითონ სიღნაღელებივე ჰკიცხვენ; ზოგჯერ; უცვლიან სახელს: ერთს «ტწერიკას» ეძახიან, მეორეს «მიტრიკას», მაგრამ მაინცა და მაინც ესენი მეტად უდიერად მრავლდებიან. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს ადვოკატები ძრიელ ხერხიანათაც იქცევიან: საქმეს ჯერ თითონვე გააჯლლაბარდებენ, გააბამენ და მერე დაიწყებენ დავას. . . . .

ამბობენ ერთხელ ერთ მემცხვარეს მიეყიდნა ცხვარი აქაური ვაჭრისათვის; ამას ზოგი ფული ხელათ მიეცა და ზოგისაც ბარათი დაეწერა. გლეხი მიდის ფულის სათხოვნელათ იმ დროს, როცა მოვალე თავის ტოლებში იჯდა და ქეიფს ეწეოდა. მეგობრებმა სთხოვეს, აბა გვაჩვენე ეგ რა ბარათიაო და რა გამოირთვეს, ერთმანეთს აწოდებდნენ. ამ ბარათმა დაიწყო ხელიდამ ხელში სიარული, ისე რომ ბოლოს ის დამალეს და გლეხს მის ბადლათ მისცეს დიკეცილი ქაღალდი, რომელზედაც ანბანი იყო დაწერილი... რასაკვირველია, ეს ძალიან კარგი ალაგია წიტრიკ-მიტრიკების|ასაზრდელათ. საზარელს დასანახს წარმოგვიდგენს ხან და ხან აქაურ მომრიგებელ სასამართლოში ზოგიერთი ადვოკატების მოქმედება: დგას საბრალო გლეხი და ლაპარაკობს როგორც შეუძლიან, ლაპარაკობს ეგრეთვე ადვოკატი, რომელიც რუსულს თუმც ამტვრევს, მაგრამ მეათე ტომი [illegible] იცის..

რაქნას საწყალმა გლეხმა, ასე დაბრუნდება კისერ-ჩამოგდებული, და გულ-ხელ დაკრეფილი მიდის შინისაკენ...

ა. კოკოტა.

სიღნაღი, 1872 წ. მარტის 6.

---

## სასამართლო ცნობები

**დასაჩუქრება მცოდნე კაცებისა მამულის დაფასებისთვის.**

1. მცოდნე კაცებს როგორც საძრავი, ისე კიდევ უძრავი მამულების დაფასებისთვის, ენიშნებათ თვითოს საჩუქარი ერთ მანეთამდის მაშინ, თუ დაფასება რისამე გაგძელდება ექვს საათამდინ; წინაალმდეგ შემთხვევაში, ესე იგი, თუ მეტ დროებას მოანდომებს დაფასებას, მაშინ დაენიშნება ორ მანეთამდინ ერთ დღეღამეში.

2. ის საჩუქარი, რომელიც არის აღნიშნული პირველ მუხლში, დიდდება მაშინ, როდესაც დაფასება ხდება სატახტო ქალაქებში, ესე იგი, ათი შაური ემატება.

3. ის დამფასებლები საქონლისა, რომლებსაც გამოუწოდებენ ქალაქში ან ქალაქ გარეთ თავიანთი საცხოვრებელი ალაგიდგან, იღებენ კიდევ, გარდა აღნიშნულის საჩუქრისა პირველ და მესამე მუხლში, საჩუქარს ორ შაურს ვერსზე წასვლა-მოსვლაზე.

4. გზის ფულები, აგრეთვე ის ფულებიც, რომლებიც ერგებათ დამფასებლებს, პირველის მეორის და მეოთხე მუხლების ძალით, წასასვლელათ დასაფასებელ ადგილას, ეძლევათ იმათ წინდაწინვე, ან მაშინ, როდესაც ისინი წარსდგებიან სასამართლოს პრისტავთან,—ეძლევათ იმ პირისაგან, რომელმაც მოითხოვა, ანუ მოიწვია დამფასებლები.

5. დანარჩენი საჩუქარი ეძლევათ დამფასებლებს დაუყოვნებლივ საქმის დაბოლოვების შემდეგ, ეძლევათ იმ ფულიდგან, რომელიც სასამართლოს პრისტავს აქვს ჩაბარებული. პრისტავი დაფასების დროს იქ უნდა დაესწროს და ყური უგდოს როგორ აფასებენ. დაფასების შემდეგ პრისტავი აძლევს გარჯის გულისთვის საჩუქარს იმდენს, რამდენიც ერგებათ.

### დასაჩუქრება ნოტარიუსებისა და იმათ მოადგილეთა.

1. ნოტარიული განჩინების შესასრულებლად და დასამტკიცებელად იღებენ:

განაჩენზე, რომლის ფასი ხუთას მანეთს არ აღემატება—ორ მანეთს; განჩინებეებზე, რომლების ფასი ხუთას ერთიდგან ათას მანეთამდინ აღის სამ მანეთს,-განაჩენზე, რომლის ფასი ათას მანეთს აღემატება, იღებენ ოთხ მანეთს.

2. თამასუქების შესამოწმებელად იღებენ, თუ თამასუქში გამოცხადებული ფული არ აღემატება ხუთას მანეთს, ათ შაურს; როდესაც ხუთას მანეთზე მეტია, თამასუქის ფულს იღებენ ერთს მანეთსა.

3. პირობის ქაღალდების შესამოწმებლად, რომლებიც არიან ნაჩვენებნი პირველს, მეორე და მეოთხე მუხ. სამოქ. სჯულ. იღებენ: .

განაჩენებზე, რომლების ფასი არ აღემატება ხუთას მანეთს—ერთ მანეთს, განაჩენებზე; რომლების ფასი ხუთას ერთიდგან ათას მანეთამდის აღის—მანეთს და ათშაურს. განაჩენზერომლების ფასი ათას მანეთს აღემატება ორ მანეთს.

4. შესასრულებლად და შესამოწმებლად განაჩენებისა და პირობების ქაღალდებისა, რომლების ფასიც განსაზღვრილი არ იქნება, საჩუქარი ეძლევა ნოტარიუს როგორც განაჩენებზე, ისე კიდევ პირობების ქაღალდებზე ათას მანეთამდინ. როდესაც ძალიან დიდი, გაჯანჯლებული საქმე იქნება და ნოტარიუსი ვერ შეურიგდება ფასს თავის შრომის დასასაჩუქრებლად, მაშინ იმას შეუძლიან, სასამართლოს გადაწყვეტილობით მიიღოს იმაზე მეტი საჩუქარი, რაც დადებულია.

5. შესამოწმებელად იმისა, რომ კოპიოები ყალბები არ არიან, რომ იმათ სინამდვილეში ეჭვის შეტანა არ შეიძლება (*Ст.* 132 *Пол.*) იღებენ ხუთ შაურს ფურცლიდგან და ორ შაურს შემდეგ ფურცლებზე.

6. ხელის მოწერის სინამდვილის შესამოწმებლად (*Ст.* 33 *Пол*) იღებენ ოროლ შაურს თითო ხელის მოწერაზე.

7. შესასრულებლად და შესამოწმებლად რწმუნების ქაღალდებისა, თხოვნებისა და სხვა ამ გვარებისა იღებენ: ერთ თაბახზე ერთ მანეთს; ზოგზე იღებენ ათ შაურს, ერთ აბაზს და სხ.

8. შესამოწმებლად იმისა, თუ როდის, რადროს შემოიტანეს დოკუმენტები იღებენ ხუთ შაურს. (*Ст.* 137 *Полож.*)

9. დოკუმენტების, გარდა ფულების დოკუმენტებისა, და სხვა გვარი ქაღალდების შესანახავად (*Ст.* 148 *Полож.*)—საკუთრად თითო დოკუმენტზე იღებენ ხუთ-ხუთ შაურს; დაბეჭდილ პაკეტის შესანახავად იღებენ ათ შაურს თვეში თითოზე. ამ ზემო ხსენებული ნივთების ფასს შესანახავად ექვსი თვის წინ ართმევენ.

10. იმ საქმეებისთვის, რომელსაც ნოტარიუსი თავისი კანტორის გარეთ შეასრულებს იღებს, თუ სატახტო ქალაქში ასრულებს საქმეს სამ მანეთს; გუბერნიის ქალაქში ორს, სამაზრო ქალაქებში და მაზრებში ერთ მანეთს.

11. ნოტარიუსი, რასაკვირელია, რომ წავა ქალაქ გარეთ მაზრაში საქმის შესასრულებლად ანდომებს დროებას. ამ დროების დაკარგვის დასაჩუქრებლად ის თუ სატახტოსა ქალაქიდგან მიდის იღებს ხუთ მანეთს, გუბერნის ქალაქიდგან სამს და სხვა ადგილებიდგან ორ მანეთს. ამ ზემოხსენებულ ფასებს იღებს მაშინ, როდესაც წასვლაზე იმ ადგილამდის, საცა საქმე აქვს, მოუნდა ერთი დღე-და არა მეტი. თუ ამაზე მეტი მოანდომა, მაშინ იღებს იმ ფასებს, რაც პირველზე აიღო.

12. გზის ფულები საჩუქარში არ ჩაეთვლება ნოტარიუსსა. ნოტარიუსს შეუძლიან მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე მუხ. ძალით, მოსთხოვოს ფულები წინ და წინვე, მინამ მიიწოდებენ საქმის შესასრულებლად ანუ შესამოწმებლად თავის კანტორის გარეთ, იმას ვინც იწვევს იმას.

### დასაჩუქრება სასამართლოს პრისტავისა.

1. სასამართლოს პრისტავი მოჩივრებს, მოწმებს, მოვალეებს, გადამხდევინებლებს და სხვა პირთა უგზავნის უწყებებს, უძახის ის იმათ სასამართლოში. რასაკვირელია პრისტავის გარჯას დასაჩუქრება უნდა. არ დაასაჩუქრებს და ხელსაც გაიქნევს. როდესაც ფასი სადავო საქმისა არ აღემატება ორი ათას მანეთს, მაშინ სასამართლოს პრისტავს ერგება ხუთი შაური,- თუ ხუთი ათას მანეთზე მეტი არ იქნება მაშინ ერგება ათი შაური; ხუთიათას მანეთზე მეტი თუა, ერგება ერთი მანეთი. როდესაც ფასი სადავო საქმისა განსაზღრული არ არის, ესე იგი. ფასი არ ვიცით, მაშინ პრისტავი ყველა ზემოხსენებულ საქმის შესრულებაზე იღებს ათ შაურს.

2. პრისტავს აქვს ნება აწეროს საძრავი საქონელი, როდესაც აწერასთან კიდეც დაფასდება ის მამული, ანუ ფასი საქონლისა განისაზღვრება, მაშინ პრისტავს წესისამებრ ერგება: საქონლის აწერისთვის, რომლის ფასიც ოცდა ხუთ მანეთზე მეტი არ არის— ხუთი შაური; ხუთ თუმანზე—ათი შაური; ათ თუმანზე—ერთი მანეთი; ოც თუმანზე—ორი მანეთი; ოცდა ათ თუმანზე—სამი მანეთი; ორმოც თუმანზე, ოთხი მანეთი; ორმოცდა ათზე—ხუთი მანეთი. ემატება თვითეულ ათას მანეთზე ორორი მანეთი. როდესაც აღწერასთან მამული საქონელი არ დაფასდა ესე იგი, ანუ მისი ფასი სწორეთ გაგებული არ არის, მაშინ თვითეულ აწერილ საგანზე, ანუ ნივთზე პრისტავს ერგება: როდესაც აღწერილი ნივთები ორმოცდა ათზე მეტი არ არი ან ხუთ-ხუთი კაპეიკი; ასზემეტი თუ არ არი—ოთხ-ოთხი კაპეიკი; ასზე მეტი თუა—სამ-სამი კ. ერთგვარი ნივთები პრისტავმა უნდა ჩასწეროს ერთ ნუმერში, ესე იგი ერთად, ერთ ქაღალდში. ამ ნივთების ჩასაწერავათ აქვს იმას განსაზღრული და შესაფერი საჩუქარი.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც პრისტავი არ ხდენს საქონლის აღწერილობას და მხოლოდ საქონელს წინად აღწერილთან აბადლებს, მაშინ პრისტავს ერგება: ა) როდესაც ფასი საქონლისა გაგებულია: თუ ის ფასი ოცდა[illegible]თ მანეთს არ აღემატება, ერგება ორი შაური; ხუთ თუმანზე—სამი შაური; ათ თუმანზე—ხუთი შაური, ოც თუმანზე—ათი შაური; ოცდა ათზე—თუთხმეტი შაური; ორმოცზე—ერთი მანეთი; ორმოცდა ათზე—მანეთი და ხუთი შაური; ორმოცდა ათზე მეტიდან ხუთი ათას მანეთამდე—ოროლ შაური ნახევარი თვითეულ ათ თუმანზე; ხუთი ათასიდან ოცდა ხუთ ათასამდე—ათ-ათი შაური თვითეულ ათას მანეთზე. ბ) როდესაც საქონლის ფასი გამოცხადებული და გაგებული არის, მაშინ პრისტავს თვითეული საგნისთვის, თუ აღწერილი ნივთები ორმოცდაათზე მეტი არ არიან, ერგება თითო შაური ნივთზე; თუ ასზე მეტი არ არიან—ოთხ-ოთხი კაპეიკი; ასზე მეტი თუა—სამ-სამი კაპეიკი.

4. საქონელს, ნივთებს და დავისდროს მოხდება, რომ დაატყვებენ და დაბექდვენ: ამ დატყვებულის საქონლის და ბექდის ასახსნელად პრისტავი იღებს ფულს თავის გასამჯელოში. აგრეთვე იღებს ფულს, როდესაც დაბექდავს და დაატყვებს საქონელს. იმ შემთხვევებში, როდესაც დაბექდავ ანუ ბექვდის ახსნა ცალკე სრულდება და არა საქონლის აწერასთანვე, პრისტავი იღებს ფულს თვითეულ დასმულ ბექედზე: როდესაც ბექდები ორმოცდაათზე მეტი არ იქნებიან-სამ-სამ კაპეიკს, ასზე ნაკლებზე ორ კაპეიკს; ასზე მეტზე—ერთ კაპიკსა.

5. უძრავი მამულის ასაწერავათ, თვითვეულ მიწაზე, რომელსაც ცალკე სწერავს, სასამართლოს პრისტავს ერგება: როდესაც ფასი მამულისა ორმოცდაათ თუმანს არ აღემატება - ორ მანეთს და ათ შაურს; ათას მანეთზე—ხუთ მანეთს; ორიათასზე—ექვს მ. სამიათასზე—შვიდ მან. ოთხიათასზე რვა მან.— ხუთასზე—ცხრა მან.

6. პრისტავს დატყვევებული საქონელი გადააქვს საკუთარ ალაგას და იქ ინახავს. იმის გულისთვის პრისტავს თუმანზე ერგება: თუ ღირეულობა საქონლისა ორმოცდაათ თუმანზე მეტი არ არის—ხუთი შაური; ორას თუმანზე—ათი შაური; ხუთას თუმანზე—თხუთმეტ შაური. თუ ღირეულობა საქონლისა გაგებული არ არი, მაშინ პრისტავი იღებს ათ შაურს.

7. მიწერ მოწერისთვის ხაზინაში და სხვა სასამართლო ადგილებში სხვა და სხვა ვალდებულებებზე სასამართლოს პრისტავს ერგება: თუ ღირეულობა საქონლისა ორმოცდა ათ თუმანზე მეტი არ არი—ათი შაური; ორას თუმანზე—ერთი მანეთი; ხუთას თუმანზე—მანეთ ნახევარი. ხუთას თუმანზე მეტზე—ორ-ორი მანეთი.

8. როდესაც პრისტავი სახალხოთ დაუწყობს ყიდვას მოძრავს ანუ უძრავ საქონელს, მაშინ ის ამის შესასრულებლად იღებს: თუ ფასი, რომელიც საქონლის გაყიდვაში აიღეს არ არის ოცდახუთ მანეთზე მეტი—ხუთ შაურს; ხუთ თუმანზე—ათ შაურს; ათზე—მანეთს; თხუთმეტზე—ორ მან. ორმოცდაათზე—ამ მან... ორმოცდაათ მანეთზე ზევით—ოთხ მანეთს.

9. როდესაც პრისტავი თითონ დაიჭერს, დაატყვევებს მოვალეს და გაგზავნის დასამწყვდევ ალაგას, მაშინ ის იღებს ამ საქმის შესასრულებლად ოთხ მანეთს.

11. თუ უწყება უნდა ჩაბარდეს ანუ სხვა რამე საქმე უნდა შეასრულოს პრისტავმა არა იმ ადგილას, საცა თითონ ცხოვრობს, მაშინ პრისტავს ეძლევა გზის და დღიური ფული 858 და 864 მუხ. ძალით სამოქ. რჯულ.

12. პრისტავებს შეუძლიანთ მიიღონ და აქვსთ სრული ნება გადაახდევინონ, კანონისაგან დადებული საჩუქარი, იმ პირს, რომლის მოთხოვნილებით პრისტავმა შეასრულა რომელიმე საქმე.—

---

## რა არის სიმშილი?

ვინ არ იცის, რა არის სიმშილი? ვის არ გამოუცდია ეს მძიმე გრძნობა და თუ ძალიან არა ცოტათი მაინც ვის არ მოუშივნიათ; მაგრამ ვაი იმ საცოდავს, ვისაც მისდგომია დიდიხნის სიმშილი და ამ საზარელი და ყველაზედ საცანჯველი უბედურობით სიკვდილი! ახლა რამდენია ამისთანა საწყლები ქვეყანაზედ და რამდენი იხოცება ამ საზარელი შემთხვევით! თითქმის, ერთ იმისთანა მხარეს და ხალხს ვერ იპოვნი, რომ ყოველ წელიწადს რამოდენიმე არს მოკვდეს სიმშილითა!

სიმშილი არის ისეთი გრძნობა, რომელის ძალიც აშრომებს კაცს და აყენებს ყველას საქმეზედ. სიმშილი რომ არ იყოს კაცი არას გააკეთებდა და მიეჩვეოდა სიზარმაცეს, რომელიც ძალიან აფუჭებს კაცს, შრომა ამაგრებს კაცს, ახალისებს და აჭკვიანებს, მაგრამ სიმშილი მიიყვანს კაცს იქამდინ, რომ

მან მოახდინოს საშინელი ბოროტ-მოქმედება. საზარელია მაშინ მშიერი კაცი, ის არის მაშინ გაშმაგებული გარეული ნადირივით და არაფერს აღარ ერიდება; ამასთანავე შესაბრალებიც არის ის იმასთანა მდგომარეობაში. ყველამ ვიცით, რომ კაცის სხეულის სიმრთელისათვის არის საჭირო საჭმელი ურომლისოთაც ხორცივერას იკეთილებს. იმას უნდა უყუროთ საჭმელი, სასმელი, სითბო და კარგი ჰაერი. როდესაც მოგვაკლდება საჭმელი, მოგვშივა, როცა მოგვაკლდება სასმელი მოგვწყურდება, როცა მოგვაკლდება სითბო შეგვცივა და როცა მოგვაკლდება ჰაერი მაშინვე სული შეგვიგუბდება. ამ ზემოხსენებულთ გრძნობებს შეძლიანთ კაცს მიაყენონ ბევრი ტახტია დიდი სატანჯველი სიკვდილი.

---

## რას უზამს კაცს სიმშილი?

წინათპირველათ მშიერი კაცი უცებ ჩამოხმება, იმიტომ, რომ ამის ხორცს ბევრი აკლდებოდა და შემატება კი არსაიდამ ჰქონდა.

როგორ? აი ასრე: მუშაობაში კაცს აკლდება ის ნაწილები, რომლებიდგანაც არის შემდგარი კაცი და რაკი დააკლდება რასაკვირველია ხორციც შეცოტავდება, გაზდაც ეს არის. ამის დასამტკიცებლათ, მუშაობის წინათ აწონეთ თქვენი თავი და მერე იმუშავეთ, მუშაობაში კი ნურასა სჭამთ, მუშაობა, რო გაათავოთ მაშინ კიდევ აიწონეთ და შეატყობთ, რომ დასუმბუქდით, მაშასადამე თქვენ ხორცს დააკლდა ნაწილები და რო აღარაფერი სჭამეთ ვეღარაფრით შეისრულა დანაკლისი.

ახლა როგორ უნდა გავიგოთ, რომ ეს მოხდა მუშაობისაგან? აი როგორ: ვსთქვათ წინათ შენ იმუშავე და დაგაკლდა რამდენიმე, ახლა ერთი ხუთი საათი გაატარეთ უსაქმოთ ისევ უჭმელი, აიწონენით. ხორც ეხლაც დააკლდება, მაგრამ წინანდელის შესახებ მალიან ცოტა. აქიდამ სჩანს, რომ მუშაობა ხდის ჩვენ ხორცსა, როგორც ხახუნი ურმის ღერძსა და სხვა იარაღებსა.

მაშ რატომ ჩვენ არ ვიგებთ?

რატო მკერლებს თითები არ უწვრილდება, სალდათებს ფეხები, და რატო უბედს ერა არ უცვდებათ? ამიტომ, რომ ჩვენ ღერძები და იარაღები არა ვართ. რატო ბუხარი არ გაქრება ხოლმე ძანამ შეშას უკეთებთ? იმიტომ, რომ დასაწვავი აწყვია ბუხარში, ესიგი, აკლდება და ისევე ემატება და მისათვის აღარა ქრება. ეგრეთვე მოხდება ყველა საქმეში: როცა გინდა, რომ არ გამოხოლმე გელიოს ფული, თუ ღვინო, თუ სხვა რამე მაშინვე რასაც დახარჯამ ისევ იმოდენა მიუმატე და ულეველი იქნება. ყველგან ესე ხდება, — მაშასადამე ხორცშიაც ესეა. ჩვენი ხორცის დანაკლისი რითი შეიმსება?

უნდა შევამსოთ უთუოთ, და კიდეც არის საშუალება რითიც უნდა შეიმსოს, თორემ აქამდინ სულ დაილეოდა, შემოსავალი ხორცისა არის საჭმელი: ბევრჯელა სცადეს სიმშილის ძალა პირუტყვებზედ, საწყლებს ამყოფებდნენ მშივრებს და მალმალ სწონამდენ, თან და თან სუმბუქდებოდნენ და როცა ერთ მეხუთედს უწინდელი წონისასღა აიწონამდენ, აშინ მოკვდებოდნენ.

ის პირუტყვები ხომ არა მუშაობდნენ რათ სუმბუქდებოდნენ? ცოცხალ სხეულში ყოველთვის მუშაობა არის ე. ი. სხეულის მუშაობა არის მოძრაობა სხეულისა ანუ რომელიმე ნაწილისა. არის განა ჩვენში რომელიმე ნაწილი, რომ არა მოძრაობდეს? ვერა ჰგრძნობით, რომ ჩვენში სისხლი მოძრაობს, კუჭი ხარშამს, გული სცემს, და ყელი სუნთქავს? აი ეს მუშაობა არ არის; საცა მუშაობა არის იქ უთუოთ ნაწილებიც აკლდება. აი წედან რისთვის ვსთქვით, რომ როდესაც მოსვენებით იყო კაცი დასუმბუქდა.

ჩვენ გავიგეთ, რომ პირუტყვები სძლებენ მიმშილს იქამდინ, მანამ ორი მეხუთედი და დარჩება უწინდელი წონისა ე. ი. ოთფეხს, რომელიც აიწონს ას გირვანქას, უნდა დააკლდეს ორმოცი გირვანქა, რომ მოკვდეს.

მაშ როდესაც აჭმევენ რატო მაშინ კი არ აკლდებათ ესეთი ბევრი ნაწილები, ჭამის დროსაც ხომ არის მოძრაობა სხეულში?

ამიტომ, რომ დანაკლისი მალე შეიმსება ხოლმე შემოსავლით ე. ი. რაც ნაწილები მოძრაობაში აკლდება, ესენი სულ საჭმელით იმსებიან.

მაშ ეხლა ჩვენ ადვილათ შეგვიძლია მივუგოთ კითხვაზედ: რამდონი უნდა ჭამო კაცმა დღეში?

კაცმა უნდა ჭამოს დღეში იმდენი, რამდენიც აკლდება იმას მუშაობისაგან. კაცს დღეში სხვა და სხვა მუშაობისაგან აკლდება ერთი ოციმეოთხედი თავის წონისა მაშასადამე იმდენივე უნდა ჭამოს; მაგალითებრ, ვსთქვათ კაცი აიწონს ექვსს ფუთს ამ ექვსი ფუთის ოციმეოთხედი ნაწილი არის ათი გირვანქა; ამ ექვს ფუთიანმა კაცმა რომ იმუშაოს და ხორცისმეტი არა ჭამოს რა, დღეში სწორეთ მოუნდება ათი გირვანქა. მაგრამ კაცს არ შეუძლიან ის ზრდოოს მარტო ხორცით, იმას უნდა სხვა და სხვა საჭმელებიც.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ სიმშილი კაცს ხდის; რამდენიც მოშივა, იმდენი ფუ წაუვა, უმები ჩაუცვივდება, თვალები შე

ალს დაუწყებენ, მოეშვება, ხელები დაუწყებენ ცახცახს, ხმა ჩაუწყდება, გონება დაეკარგება; ერთის ლექსით კაცი სულ დაიშლება; დაუწყებს წუხილს კუჭი, გაატივებს, ასტკივა თავი, დაიწყებს როტვას და რამდონიმე დღის განმავლობაში კიდეც მოკვდება. ბევრი ბევრი იცოცხლოს ორი სამი დღე. არის მაგალითი, რომ ორი კვირა უცოცხლნია მშიერს კაცს და მეტს კი ვეღარ იცოცხლებს.

აი მოვიყვან აქ მართალ მაგალითს სადამდინ მიიყვანს სიმშილი კაცს.

ერთ ზღვაში გატყდა გემი, მაგრამ შიგ მსხდომნი სულ ერთიანათ გადარჩნენ ცოცხლები და გავიდნენ ერთ სამაგელს უნაყოფო კუნძულზედ. რაც რამა ჰქონდათ სულ შეჭამეს და მერე მიყვეს ხელი ტყავის იარაღსა, ვისაც ან წაღები ჰქონდა ან ტყავი ან ქამარი სულ დაჭამეს, ზოგიერთა ამათგანმა ვერ აიტანეს ესრეთი საჭმელი და დაიხოცნენ. ცოცხლებს რო მეტი გზა არა ჰქონდათ დაუწყეს მკვდრებს ჭამა და ესეც რო გაათავეს მერე ცოცხალს ამხანაგებსაც დაუწყეს ჭამა, ვისაც წილი დაეცემოდა. ამ შიმშილისაგან დაგიჟებულ ხალხში ერთ გემის უფროსს (კაპიტანს) და ჰქონდა გრძნობა. თუმცა წინაპირველად ისიც ძალიან იტანჯა შიმშილისაგან, მაგრამ ექვსი დღის უკან სულ დაავიწყდა ყველაფერი. შემდეგ მისუსტდა და გადაუვარდა მადა. იმის საბედნიეროთ მიასწრო სხვა გემმა, რომელიც წავიდა იმის საშველათ და როცა საჭმელი მიაწოდეს ისე ჰქონდა მადა დაკარგული, რომ უარი სთქვა და ოთხი დღის შემდეგ როცა მოსურიელდა და გუჭი მოემართა მაშინ მოივსდა დაუწყო გუნებიერათ ჭამა.

---

რა არის საჭირო იცოდეს კაცმა, როდესაც ესახლება ერთ მხარიდგან მეორეში?

(დასასრული.)

ვინც თბილი ქვეყნიდგან გადადის ცივ მხარეში, მან დაიცვას შემდეგი კანონები:

1) არ სჭამოს ისრე ბევრი, რამდენსაც სჭამენ ცივი მხარის მცხოვრებლები.

2) შეიძლება იხმაროს სასმელად სპირტი და სხვა ამგვარი სასმელი, მაგრამ ყველას კი სჯობია ყავა და ჩაი.

3) სახლში ძლიერ არ უნდა თბილოდეს.

4) ტანისამოსი ჩაიცვას ისეთი თბილი, როგორორიც აცვია იქაურებს.

5) ცხელი აბანოები, რომლებიც მარგებელია ცივი მხარის მცხოვრებისათვის, თბილი ქვეყნის მცხოვრებს კი ავნებს.

5) ვინც თავის თბილ მხარეში იყო ავათ ან ცივებით და ან ნაღველით (*печенью*) ისინი უნდა გადასახლდენ ცივ მხარეში ზამთრით. ზაფხულით გადასახლება ცივ მხარეში მხოლოდ მათვის შეიძლება, ვინც თავის თბილ სამშობლოში ავათმყოფობდა ფაღარათით.

საზოგადოდ რომ სთქვას კაცმა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის გადასახლება ცხელი ჭავიდგან ცივ ჭავაში. ცივი ჭავიდგან კი ცხელ ჭავაში უფრო საშიშროა და ბევრიც აქ გადმოსახლებული ხდება ცხელი ჭავის მსხვერპლად.

თუმც კაცს ბედის წერამ მოუტანა, რომ ის მაინდა მაინც უნდა გადაესახლოს ტენიან ადგილში, მაშინ სნეულობისა და სიკვდილისაგან თავის დასახსნელად მან უნდა იხმაროს შემდეგი საშვალება. 1) რაც შეიძლება საჩქაროდ გაამშრალოს ადგილი პატარა თხრილებით.

2) გამშრალება ადგილისა სჯობია ზამთრით.

3) ამას უნდა მუშაობდნენ და აკეთებდნენ ღონიერი ტან მთელი კაცები. საჭმელი ამათ სამყოფი უნდა ჰქონდეთ. სადამოთი მუშაობას ადრე უნდა ანებებდნენ თავს. 4) ვინც ტენიან ადგილში ცხოვრებს მას ღვინო არგებს. ღვინო ქინაქინასთან გარეულიც სასარგებლოა. 5) სუსტი ადამიანი ძლიერ უნდა ერიდებოდეს ტენიან ადგილს, თუმც ამათ, საუბედუროთ, სხვაგან არ შეუძლიანთ წასვლა, მაშინ, რაც შეიძლებოდეს საცხოვრებლად ამოირჩიონ მაღალი ადგილი, მაგრამ აქ არ უნდა ბერავდეს ქარი დამპალი წყლებიდან. 6.) სასარგებლო საჭმელში იხმაროს ნიორი, ხახვი და სხვანი ამგვარი მწვანილი.

7.) ტენიან ადგილებზედ მიჩვევა საზოგადოდ არ შეუძლია ძნელია, ასე რომ ავათმყოფობისგამო ერთ ტენიან ადგილიდან, თუმც კაცი გადაესახლა მეორეზედ, იქ ხშირად იტანჯება უარესის ავათმყოფობით; ამგვარი, ავათმყოფობის მიზეზი, განსაკუთრებით ციების მიზეზნი არიან, სხვათაშორის, მეტისმეტი დაღლილობა, მთვრალობა და სხვანი. როცა კაცი გადაესახლება დაბალი ადგილიდან მაღალ ადგილებზედ, მან უნდა იქონიოს აზრში აგრეთვე კანონები, რომელნიც არიან საჭირო თბილი ადგილიდან გადასახლების დროს ცივ ადგილებზედ. მაღალ ადგილებზედ გადასახლებას უნდა ერიდებოდნენ ისინი, რომელთაც გული სტკივათ, სისხლს ახველებენ. ფილცხი კაცისათვის კი ამგვარი გადასახლება კარგია.

---

წვრილი ამბები

ამას წინათ ერთი კაცი მოსულა კიევში ერთ მჭედელთან, სადაც ახალი მაგრატლის ნიმუში მიუტანია და უთხოვნია, რომ ამისთანა მაგრატელი გამიკეთეო. მჭედელს დაუთვალიერებია ნიმუში და უთქვამს: შეიძლებაო, სამიდღის შემდეგ შემობრძანდით და მზათ იქნებაო. მჭედელს პირველათ ენახა ამგვარი მოწყობილობის მაგრატელი და რადგანაც ცნობის-მოყვარე კაცი ყოფილა, ენდომა შეეტყო, თუ რის მაქნისი იყო ისა. სამი დღის

შემდეგ შემოვიდა მაკრატლის პატრონი და ჰკითხა: ჩემი მაკრატელი მზათ არის, თუ არაო? «მზათ არისო, უთხრა მჭედელმა, მაგრამ, თუ გიყვარდე, ერთი მითხარი-რისთვის გინდა ამისთანა მაკრატელიო?» - «ამის ახსნა მე მხოლოთ საიდუმლოთ შემიძლიაო, უთხრა უცნობმა კაცმა და თან მიიწია იმის ყურთან და ჩაუჩურჩულა, რომ ეს მაკრატელი საათების ძეწკვების ასაჭრელათ მინდაო. ცოტა ხანს შემდეგ მჭედელმა გაისტუმრა მუშტარი, შევიდა თავის ცოლთან და უამბო ეს ამბავი. უეცრივ ცოლმა ჰკითხა: შენა საათი რა უყავიო? მართლაც მჭედელს საათი აღარა ჰქონდა, მხოლოთ შუაზე მიჭრილი ძეწკვი ეკიდა გულზე. აღმოჩნდა, რომ ამ ქურდს მაკრატლის სიმარჯვე პირველათ იმის გამჭედისათვისვე დაუმტკიცებია...

---

## წერილი იმ სახალხო შკოლების მასწავლებლებთან, რომელთაც შინაური სწავლა მიუღიათ და არ იციან ეხლანდელი სწავლების მეთოდები.

ზოგიერთი მასწავლებლები ქალაქში და სოფლებში ისე უჯიშოთ ასწავლიდნენ აქამდინ, რომ რასაცბებიეები აკლებდნენ ყმაწვილების გონების დახშობას, ისინი უსრულებდნენ. ეს პატიოსანი მასწავლებლები თავიანთ მეთოდის ნაკლულევანებას ვერა გრძნობდნენ და თავის გასამართლებლათ ამას ამბობდნენ: «დაბალი წოდების შვილებს სწავლა არ შეუძლიანთ, ამიტომ რომ იმათი სისხლი სრულებით სხვა არის «და თან ანდაზასაც დააყოლებდნენ: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი» იმ უბედურებმა ის კი არ იცოდნენ, რომ მიზეზნი ყმაწვილების უსწავლელობისა თვითონ ისინივე იყვნენ. ყმაწვილს წინეთ ჯერ ერთს შეუბღვერდნენ, რომ იმითი ეგრძნობინებინათ ყმაწვილებისთვის, რომ ისინი არიან იმათი მასწავლებლები და უნდა იმათთან იყვნენ მოკრძალებით და მოწიწებით. მერმე მოსთხოვდნენ ყმაწვილებს წითელ ყდიან წიგნებს, რომლებიც მამებმა უყიდეს, გამოშლიდნენ ანბანზე და დააწყობინებდნენ: ან, ბან, გან, დონ და სხვ. ასე ამგვარათ რიგზე დაისწავლიდნენ რამდენსამე კვირის განმავლობაში. შემდეგ ასოებს აცნობებდნენ აქა იქა და სრულებით ვეღარ იცნობდნენ. თუ თავიდან დააწყებინებდნენ, ისე ჩამოუთვლიდნენ, რომ ქალი არ წამოსდებოდათ. სინამ ასოებს კარგათ დაიხსომებდნენ, ბევრ ხანს უნდა გაევლო, მერმე, როდესაც საქმე მიდგებოდა ასოების შეერთებაზე და სიტყვების გამოთქმაზე, ყველა მნახველი ნახავდა, რომ ყმაწვილები რა საცოდაობით სთქვამდნენ სიტყვასა, მაგ. უკეთუ მასწავლებლებს უნდოდათ გამოეთქმევინებინათ დედა, ყმაწვილებს ჩაათვლევინებდნენ: «დონ, ენ, დონ, ან.» მასწავლებლები კითხავდნენ: «რას იტყვისო? ყმაწვილები გამოთქვამდნენ: დონ, ენ, დონ, ან. მასწავლებლები გაჯავრდებოდნენ, თვალებში სისხლი მოერეოდათ და შეუტევდნენ: «სად არის მანდ დონ ენ დონ ან? ეს არის დედა. ყმაწვილებიც ისე გამოთქვამდნენ, როგორც მასწავლებლები ეუბნებოდნენ მერმე ჩაათვლევინებდნენ სხვა რასმე სიტყვას, რომელსაც ყმაწვილები ისევე ისე გამოსთქმიდნენ, როგორც, მაგ. დედას მასწავლებლები ამაზე უფრო ძალიან გაცეცხლდებოდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. ჯერ სახაზავს თავში ჩაარტყამდნენ, მერე კიდეც გასწკეპდნენ. ყმაწვილები ამ გვარი მეტოდით დაცემა ტყეპისაგან ძალიან იჩაგრებოდნენ, ასე რომ ათში სამს ან ორს შეეძლო მიმხვდარიყო იმას, რასაც მასწავლებლები თხოულობდნენ; სხვები კი ფიქრობდნენ და ვერ მიხვდებოდნენ ხოლმე, თუ რა სურდა მასწავლებლის უფ. მასწავლებლებო! ესეთი მეთოდები იყო განა მარტო სოფლებში—ქალაქებშიაც, მაგრამ ვინ იცის, იქნება ზოგიერთ ადგილებში ისევ ასე ასწავლიდნენ? უნდა მოგახსენოთ, ეხლანდელ დროში კი სხვა ნაირ მეთოდებს ხმარობენ, რომლებითაც ყმაწვილებს უადვილებენ სწავლასა. ერთი იმ მეთოდებთაგანი, რომელიც უფრო უადვილესია, მე მსურს მოკლეთ აგიწეროთ, რადგანაც იმედი მაქვს, რომ დაიწყოთ ამ მეთოდის ხმარებას თქვენ სასწავლებლებში:

ეს მეთოდა რომელზედაც მე მსურს თქვენ მოგელაპარაკოთ, არის «მოძრავი ასოებით სწავლება». (*) მასწავლებელი, ჯერ სინამ დააწყობინებდეს სწავლას, ყმაწვილებს გააცნობებს კლასის და მოსწავლეების კუთვნილებებს მაგ. კლასის სტოლებს, შკაფებს, ხატს, სურათებს დამასთანავე ცხოველებს, ჩვენი ქვეყნების კარტებს და სხ. მერმე თითონ მოსწავლის კუთვნილებეებს აჩვენებს: ასპიდის ფიცარს, წიგნებს, საწერლებს, კალმებს, დანას, კარანდაშებს, რვეულებს და სხვ. ამას რომ კარგათ გაიცნობენ, მერმე მასწავლებელი შეუდგება ასოების სწავლებას. ჯერ ამოიღებს უჯრიდგან ერთ ხმოვან ასოს და ყველას აჩვენებს, მერმე მივა და კლასის საწერ ფიცართან დაიჭერს ამ ასოს და ეტყვის: ხედავთ? ეს უნდა ყველამ გადახატოთ თქვენ ასპიდის ფიცრებზე, მეც აქ დავხატამ. მასწავლებელი აიღებს მელს და წინეთ თითონ დახატავს. ყმაწვილები გაფაციცებული დაუწყებენ ცქერას მასწავლებელს, ის როგორ დახატავსო; მერე თითონ შეუდგებიან იმ ასოს დახატვას. როდესაც დახატვენ, მერმე მასწავლებელი ჩამოუვლის და დაუშინჯამა ყველას, ვის როგორ დაუხატავს. უკეთუ აქვს ვისმე ისე ცუდათ დახატული, რომ სრულებით არ ემგზავსება იმის დახატულს, მაშინ მასწავლებელი კარგათ გააშინჯებს და მეორეთ დაახატვინებს. მერე ეტყვის ყველას: სთქვით იგალობეთ ერთათ: ა ა, ა, ა, ა, ა, ა. ყმაწვილები იგალობებენ. მასწავლებელი მაშინ ეტყვის: მაგ ხმას, რომელსაც თქვენ გალობთ, «ამ ასოს ვეძახით:» (აჩვენებს იმ ასოს) მასწავლებელი ამ ასოს სწრაფლათ დამალავს და ამოიღებს მეორე უხმო ასოს: ხ, მასწავლებელი მაშინვე კითხავს: ეს გავს, თუ არა წეღანდელს? რასაკვირველია შეგირდები ცძადათ ხედამენ განჩევასა და ეტყვიან: «სრულებით არა გავს» მასწავლებელი იმასაც წინეთ დაახატვინებს და მერე აგალობებს ხ. ხ. ხ. ამას ისე თავისუფლათ ვერ იგალობებენ, როგორც პირველს; ყმაწვილები პირველათვე რაღაც განრჩევას ნახამენ პირველ ასოში. მასწავლებელს, რასაკვირველია, კარგი დრო აქვს, რომ აჩვენოს ერთისაც და მეორისაც მნიშვნელობა. მერმე მასწავლებელი ამოიღებს პირველ ასოს და იმას აგალობებს, იმ გალობაზე მეორე ასოსაც აგალობებს და ამ გალობით ყმაწვილები გამოსთქვამენ. «ახ» მერე მასწავლებელი აუხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობასა და თითო თითოთ ყმაწვილებს გამოათქმევინებს და იმის მნიშვნელობას ათქმევინებს. მასწავლებელი პირველ დღეს ამ ორ ასოს კარგათ დაასწავლის წერით და კითხვით. მეორე დღეს კიდევ აიღებს ორ ასოს ხმოვანს და უხმოს და ისე განაგრძელებს, როგორც პირველში; მაგალ.—ე. დ. ამ ორ ასოსაც რო კარგათ დაასწავლის ოთხი ასოთი გამოათქმევინებს: დედა, დადე, ადე, ახდა, ახადა და სხ. ორი დღის განმავლობაში ყმაწვილები ისწავლიან რამდენსამე სიტყვის წერას და კითხვას. ორი კვირის ანუ სამი კვირის განმავლობაშიც ყმაწვილებს მშვენიერად ეცოდინებათ წერა და კითხვა.

იმედი მაქვს ამგვარი მეტოდით ისარგებლებთ და მითი გაუადვილებთ ყმაწვილებს სწავლას.

---

(*) მთელი ანბანის ასოები დიდრონ ასოებათ არის დაბეჭდილი ანუ დაწერილი, ეს ასოები არის ერთი ერთმანეთიდგან მოშორებული და ცალ-ცალკე გაკრული ერთს სქელ ქაღალდზე, რომ ყმაწვილებმა არ წაახდინონ.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 Марта 1872 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის.) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.